

## ხელმოცარული ბომბარდირები

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 3 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) - "კაირატი" (ალმა-ატა) - 0:0.

"დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე (ძოძუაშვილი), ილიაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), გავაშელი.

"კაირატი": ბუბენეცი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, აისლბაევი, დოლმატოვი, კვოჩკინი, ყუიკოვი, აბგოლცი, გლეხი (მუსინი), ტიაგუსოვი.

მსაჯი: ვ. სამოლაზოვი (დონის როსტოვი).

დუბლიორები - 1:0 "დინამოსა" სასარგებლოდ.

ფეხბურთში არსებობს ერთი ასეთი დაუნერვლი კანონი: თუ გუნდს პირველ ნუთებზე მიეცა ბურთის გატანის რეალური შანსი და ვერ გამოიყენა იგი, მას იმ მატჩში გაუჭირდება. ვინ იცის, ვინ შეამჩნია პირველად ეს - მოცლილმა მაყურებელმა თუ "ცრუმორწმუნე" მწვრთნელმა, მაგრამ ის კი მართლა სანიშნოა, რომ დასაწყისში დაკარგული ნაღდი გოლი ხშირ შემთხვევაში მთელ თამაშს "მისდევს" ხოლმე.

... აბგოლცმა მე-4 ნუთზე აჩუქა ბურთი გ. ნოდიას. აჩუქა სრულიად მოულოდნელად და ისეთ ვითარებაში, როცა მას საამისოდ არავინ აიძულებდა. თითქმის მინდვრის ცენტრიდან - თავისი საჯარიმო მოედისკენ.

ნოდია მიიღო ბურთი, თავისუფლად შევიდა სტუმრების კარის სიახლოვეს, ვინაიდან მცველები შორს იყვნენ და... გოლის გატანის ნაცვლად უკანვე დაუბრუნა "კაირატს" ეს საჩუქარი: მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ხელებში მისცა მას ბურთი.

დაიკარგა ეს მომენტი და დაიწყო დინამოელთა წამებაც. "კაირატის" დაცვა თითქოს არ წარმოადგენდა პრობლემას თბილისელთა თავდასხმისთვის. საქმე გვექონდა არა მაღალი კლასის მცველებთან და კარგად ორგანიზებულ "ბეტონთან". არა, კაირატელები თამაშობდნენ ძველთაძველი, უბრალო, პრიმიტიული წესით: მოიგერიე ბურთი როგორც შეგიძლია, მისამართით თუ უმისამართოდ, აუტში თუ მინდორზე, წესების დარღვევით თუ მის ფარგლებში, როგორც შეგიძლია გაიყვანე დრო.

და აი, ამ "პირველყოფილ" ტაქტიკას ვერაფერი მოუხერხეს დინამოელებმა: განთქმული ბომბარდირები ზედმეტად ჩქარობდნენ, ფუსფუსებდნენ, ნერვიულობდნენ, სისტემატურად კარგავდნენ ბურთს ან ისე ურტყამდნენ კარში, რომ მინდვრის გარეთ მყოფ ბიჭებს კისრისტეხით რბენა უხდებოდათ მის უკან მოსატანად.

"კაირატს" ოდნავადაც არ ანუხებდა ის, თუ რა შთაბეჭდილებას დატოვებდა თბილისელ მაყურებელზე და რა ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰპოვებდა მას. გუნდი პრაქტიკული ამოცანის შესრულებით იყო დაკავებული: ქულა, მხოლოდ ქულა. ალმა-ატელებმა ეს ქულა აიღეს და, ამდენად, თავიანთი ამოცანაც შეასრულეს. თბილისელებმა კი, პირიქით, ვერც ხიერიანად ითამაშეს და ვერც იმ ქულას

“მოუარეს”, რომელიც შესაძლოა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ოქროს ქულად იქცეს.

დინამოელებმა სრულ უპირატესობას მიაღწიეს მეორე ტაიმში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მინდორზე გამოვიდნენ ძოძუაშვილი და ლ. ნოდია. ვინ მოთვლის, რამდენი ხელსაყრელი მომენტი დაკარგა გუნდმა, ძელს მოახვედრეს ბურთი ხურცილავამ და გავაშელმა, საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მეტრეველი, ასათიანი, ილიაძე, “კაირატის” კარი ზოგჯერ ბენჯზე ეკიდა, მაგრამ ის “ბენჯი” აქ იქნა და არ განყდა. ბომბარდირები ხელმოცარულები ბრუნდებოდნენ უკან ყოველი უნაყოფო შეტევის შემდეგ. ამას დაერთო შეცდომები მასპინძელთა დაცვაში, რის შედეგადაც საერთოდ შეიძლებოდა მატჩის წაგება. მაგალითად, 57-ე წუთზე ტიაგუსოვმა ზუსტი გადაცემით გაიყვანა აბგოლცი კარის წინ ისე, რომ მის პირისპირ მხოლოდ ურუშაძე იყო დარჩენილი. აბგოლცს რომ მეტი ყურადღება გამოეჩინა, გოლსაც გაიტანდა.

ასეა თუ ისე, “დინამომ” მატჩი ვერ მოიგო. ამაში დამნაშავე, პირველ ყოვლისა, თვით გუნდია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ვ. სამოლაზოვის უპრინციპო მსაჯობაც. იგი საშუალებას აძლევდა “კაირატს” დრო გაეყვანა ყოველგვარი საშუალებით, სიმულაციითაც. თუ მან მინდვრის მოთამაშეებს ვერაფერი მოუხერხა, გარკვეული სანქციები უნდა მიეღო მეკარე ბუბენეცის მიმართ, რომელიც პირველი იყო დროის გაჭიანურებაში. მეკარეთა შესახებ სპეციალური მითითება აქვს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, მაგრამ არბიტრს ეს პუნქტი მხედველობიდან გამორჩა.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 5 ივნისი, 1969 წ.